№ 191 22 ენკენისთვე, პარასკევი 1866—1878 22 ენკენისთვე, პარასკევი № 191

დროება

ᲣᲛᲦᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲚᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Иг. Амирасловის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Иг. Амирасловის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Бароѣ შეტყობინებისთვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: თვეში წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდ ასოებით ასოზე—1 კაპ., ახალ-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცეცხლოთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲓᲐᲛ ᲐᲛ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲘᲜ

„დროება"

ᲓᲘᲠᲡ ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲕᲘᲜᲝᲢᲒᲘᲡᲗᲕᲘᲓᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲘᲜ—ᲝᲠ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, Иг. Амирасловის სახლებში, № 8.

ᲭᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ პირთა ამ ადრესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисѣ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ, ოთხშაბათს, დანიშნული იყო ქალაქის რჩევის სხდომა; მაგრამ ერთხელ კიდევ (მერამდენეა ეს ამ წელიწადში?) ვერ შესდგა, რადგან ჯეროვანი რიცხვი ხმოვანებისა არ მოვიდა.

ᲗᲕᲔᲨᲘ ოთხჯერ აქვს ხოლმე კრება ჩვენს ქალაქის რჩევას და ორჯერ მაინც უეჭველად ამისთანა ამბავს ვკითხულობთ გაზეთებში: სხდომა არ შესდგა, რადგან ხმოვანები არ მოვიდნენო.

სთხოვენ, ლანძღვენ, ემუქრებიან, ურჩევიან, არცხვენენ ჩვენს პატივცემულ ხმოვანთ; მაგრამ არა გამოდის-რა. არ მოდიან და არა. და ამნაირად ქალაქის საქმეები გაურჩეველად, გაუკეთებელად რჩება; ანნაირად, ატყუებენ ისინი თავიანთ ამომრჩეველებს...

ᲔᲠᲗᲘ რამ საშუალება არის საჭირო, რომ ამგვარის მდგომარეობიდგან დახსნილი იყვეს ქალაქი, რომ ქალაქს პატრონა დი თავის საქმეების მომველელი ყვანდეს.

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲡ „Тфилисის მოამბეში" მოუყვანილია, ზოგიერთ ხმოვანთა შემოიტანეს ეჭვრია, რომ სთხოვონ უმადლეს მთავრობას, რომელსაც მეორე სხდომაზე საკმარ რიცხვი არ მოვა ხმოვანებისა, ამ შემთხვევაში დამსწრე ხმოვანების სხდომა და ყოველი იმათი გარდაწყვეტილება კანონიერად ჩაითვალოსო.

ხანდისხან, როდესაც რომელიმე აუცილებელად საჭირო საგანი უნდა განიხილოს რჩევამ, ამგვარად მოქცევა შეიძლება. მაგრამ საზოგადოთ ეს წესი ძალიან საშიშო და საფრთხილოა: შეიძლება ხუთი ან ათი ხმოვანი მოიკრიბნენ და ისეთი რამ გადაწყვიტონ, რომელიც ქალაქისათვის მავნებელი იქნება.

ᲛᲐᲨ რა უნდა ჰქმნას რჩევამ, მკითხავთ? არის ერთი საშუალება, რომელიც, ჩვენის ჰაზრით, დაეხმარება ქალაქს ამ შემთხვევაში. ეს საშუალება შემდეგია:

დასდვან კანონად, მთავრობის საშუალებით, რომ ხმოვანი, რომელიც ქალაქში იმყოფება და ხუთს სხდომაში სამჯერ არ მოსულა და ამ მოუსელელობის გასამართლებელად შესაწყნარებელი მიზეზი არ წარმოუდგენია, გამოირიცხოს ქალაქის სამსახურიდგან და ეს გამორიცხვა დაბეჭდილი იყვეს ყველა ადგილობრივ გაზეთებში. ამ დროსვე ქალაქის რჩევას ექმნეს უფლება, რომ, გამორიცხული წევრის მაგიერად, იმ წამსვე მოიწვიოს ის კანდიდატი, რომელსაც მომეტებული ხმა მიულია ხმოვანთა ამორჩევის დროს.

ჩვენის ჰაზრით, ეს ერთად-ერთი საშუალებაა იმისთვის, რომ ჩვენი ქალაქის საქმეები გაჩერებული არ იქნეს. ბამორიცხავთ ერთს, გამორიცხავთ მეორეს, მეათეს, გამოაცხადებთ ამას გაზეთებში და მაგიერებს მოიწვევთ,—ეს ერთის მხრით შეარცხვენს და შეაშინებს დანარჩენ ხმოვანებს და მეორეს მხრით, ბოლოს, ისეთს ხმოვანებამდინ მიაღწევთ კანდიდატებში, რომელთაც ესმისთ თავიანთი მოვალეობა და რომელნიც ეცდებიან, რომ ეს მოვალეობა კეთილსინდისიანათ აასრულონ.

ᲡᲐᲛᲘ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** დღეს ჩამოვიდა თფილისში გათქმული იურისტი ᲒᲐ. ᲓᲐ. ᲡᲞᲐᲡᲝᲕᲘᲩᲘ.

*** სანიტარული კომიტეტებისა და ქალაქის ბამგეობის ყურადღება მიგვიქცევია იმ გარემოებაზედ, რომ ამ უკანასკნელ დროს ფასები ისევ სამაგალ და ძველ ხორცს ჰყიდიან, და ამის გამო შეიძლება ქალაქში სხვა-და-სხვა ავათმყოფობა გაბნირდეს.

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი მეფურნეები ხშირად გამოუმცხვარ და მოუშუშებელ პურს ასაღებენ.

სიძვირე გვაკმარონ, ჯან-მთელობას მაინც ნულარ შეეხებიან. . .

*** ᲥᲣᲙᲘᲐᲨᲘ ᲧᲑᲐ-ᲧᲣᲠᲘᲡ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐ არის ძლიერ გაბნირებული განსაკუთრებით უმაწვილებში. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ამ ავათმყოფობას ხშირად ციებ-ცხელებაც დასდევსო.

*** ᲩᲕᲔᲜ შეეტყვეთ, რომ „Иверіის" რედაქტორს თ. Ілія Чавчавадзе უკვე მიუცია, საცა რიგია, თხოვნა, რომ ნებართვა მიეცეს, მომავალი წლიდამ ეს გაზეთი თვიურ ჟურნალად გადაკეთდეს, რომელსაც სახელად აგრეთვე „Иверіа" ერქმევა.

*** ᲔᲠᲗᲘᲪ ძლიერ შესანიშნავი და საყურადღებო ლიტერატურული ახალი ამბავი: უფ სკანდარონოვა ავტორი „Въ тиалебо, тиалебо"-სი აპირებს თურმე მოაგროვოს ყველა თავის წარჩინებული ლექსთ-თხზულებანი და თავის ძვირფასის სურათით გამოსცეს!

ᲜᲣ გაიცინებთ! ᲗᲐᲜᲐ შესანიშნავი სალიტერატურო მოვლენა არ არის ეს?!

*** ᲔᲠᲗᲛᲐ ძველი ქართული წიგნების მოყვარე პირმა გარდმოგვცა, რომ იმას უპოვნია ქართული ხელთ-ნაწერი ისტორია ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲔᲚᲘᲡᲐ ᲥᲕᲘᲜᲢ ᲙᲣᲠᲪᲘᲘᲡ თხზულება, რომელიც წარსულს საუკუნეში არის ნათარგმნიო.

*** ᲒᲐᲖᲔᲗᲡ „Кавказში" იწერებიან, ჩვენ შეეტყვეთო, რომ ჩვენს ქალაქში სდგება საზოგადოება, რომელსაც განსაკუთრებული მიზანი ექნებაო, რომ თფილისში „ქართული მუზეუში" გამართოსო; თავის საშუალებით ეცდებაო, რომ მოაგროვოს ერთს ალაგას ამ მუზეუმში ყველა ძველებური ხელთ-ნაწერი წიგნები, აგრეთვე სიგელები და აგრეთვე სხვა-და-სხვა დოკუმენტები და ნივთები, რომელთაც რაიმე ისტორიული ანუ ლიტერატურული მნიშვნელობა აქვსთ და რომელნიც ახლა გაფანტული არიან ჩვენს ქვეყანაში და ტყუილუბრალოდ ფუჭდებიან, ლპებიან და იკარგებიანო.

რასაკვირველია, ეს ძლიერ კარგი და სასარგებლო საქმეა, სასარგებლო მით უმეტეს, რომ ჩვენი „კავკაზიის მუზეუმი“, რომელსაც დიდი საშუალება ეძლევა ხაზინიდამ, ამ მხრით თითქმის არაფერს არ არიგებს; ამ მუზეუმის დირექტორი უფ. რადდე უფრო თავის ჯიბისთვის და თავის სადგომის მდიდრულად შემკობისათვის ცდილობს, ვინემ მუზეუმის გამდიდრებისათვის. .

„დროების“ კორრესპონდენცია

ართაანი, 8 სექტემბერს. ბრილი ზაფხული შეგვეცვალა უგრილეს და თითქმის ცივ შემოდგომად. დიდი ხანია მორჩნენ აქა მკას.

აქაურები ემდურებიან ჭირნახულს. ართაანის ახლო-მახლო სოფლების მოსავალი სუსტი იყო. მცხოვრებლები ზოგიერთნი ამ მოვლენაზე ფანატიკური აზრისანი არიან: რადგან აქაური მიწა სისხლით მოირწყო, იმისთვის ახლა ნაყოფს გვიზოგავსო....

მთებისკენ კი კარგი იყო მოსავალი, მაგრამ ისიც სიცივემ დასცა.

აქ როგორც თესვა ისე მკა გვიან არის ხოლმე; მკა იციან იმ დროს, როცა ქართლ-კახეთში და ახალციხეში კალოობა გათავებულია. აქაური ცივი ჰავა და გვიანი გაზაფხული ნებას არ აძლევენ ადრე თესვისას. ქალოობა გაცხარებული აქვსთ ახლა აქაურებს, მაგრამ ხალხი როგორლაც დალონებით არის არ ვიცი—იმიტომ, რომ რამაზანი (მარხვა) აქვთ, თუ იმიტომ, რომ მამულს ჰგლოვენ...

აქაურ მეურნეობის იარაღს დიდი განსხვავება არა აქვს ჩვენ იარაღებთან—ურმის გარდა. ქართულ ურემს ხომ იცნობთ; თათრული ურემი წარმოადგენს მოკლე და მდაბალ სამკუთხიანს. ბორგორა წარმოადგენს მთვარის მგზავს მრგვალს ფიცარს, გამაგრებულის ღერძის თავებზე.

ქვერი, ულელი, ფარცხი, გუთანი და სხვა იარაღები სულ ჩვენ ნაირია.

ბუთანი პატარა არ იციან, როგორც ქართლ-კახეთშია. აქაური გუთნის კუდზე აბია თორმეტი ულელი ხარ-კამეჩი. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ერთ გლეხს ცალკე შეეძლება გუთნის გამოყვანა და ამისთანა გლეხს დიდი სახელი აქვს. ღარიბები ამისთვის ადგენენ პატარა საზოგადოებას (ჰამგალს) და ყველასთვის რიგზე ამუშავებენ გუთანსა. მაგალითად, ერთი დღე ერთთან, მეორე დღე მეორესთან და ამ რიგს აქაურები „ალოს“ ეძახიან.

აქ თესვენ პურს, ქერს და სელს, რომლიდამაც ხდიან მწარე ზეთსა. ბაზაფხულზე დასათესს ხნულს ამზადებენ რთველზეე.

აქაური ჯარები გაგვეცალნენ გუშინასწინა. აქ დარჩა ცოტა ჯარი, ისინიც, როგორც ამბობენ, მალე გაგვეცლებიან. ამბობენ, ართაანში უნდა ორი ბატალიონი ჯარი დარჩესო.

ავაზაკები ჯერ-ჯერობით ჭკვიანათ არიან. ხალხი მოსვენებით არის. მაგრამ ეს დიდ ხანს არ გასძლებს: ეს ჯარი და ხალხი აქედგან მოშორდებიან თუ არა, მე ვიცი, ავაზაკობა თავს ამოჰყოფს. ახლა, რაც უნდა იყოს, ამ ჯარის შიში აქვთ და თავიანთ ხელობას არ აჩენენ; მემრე კი თქვენი მტერი, მე რომ ეიცნობ ჩილდირის და ოლთის თარაქამებს, ბევრს ჩათო-ქახნობას მოახდენენ...

ახლაევ აქ—აქაურებს—აცლიან იარაღს. ხალხი უკმაყოფილოდ დასცქერის ამ საქმეს. მართლაც, ეს ღონე ჩვენის მხრით, საჭიროა. ხალხმა რითი უნდა დაიცვას თავი ავაზაკებისაგან? ოც მოსახლეს ერთი ქანგიანი თოფის შენახვის ნებას აძლევენ. ჩვენ ვამზადებთ ამ მშვიდობიან ხალხს ავაზაკების მსხვერპლათ. ერთი საშვალი-ღა დარჩება ხალხს: ცულებით და ქვებით უნდა დაიცვან თავი ავაზაკებისაგან....

„მოინობა“ გათავდა, მაგრამ აქაური ვაჭრების „ოინობა“ კი არ გათავდა. ისევ ის სიძვირე, ისევ ის ცეცხლი ეკიდება ყველაფერს! ბეგონება, ის გაცხარებული ომი ჯერ არ გათავებულა, რომელსაც აბრალებდნენ აქაური ვაჭრები. ბირვანქა პური ფასობს 10 კაპ., ხორცი 15 კაპ., ერბო დაუდნარი 45 კაპ. ისიც მწარე საძაგლად; ორი კვერცხი შენ მოწონებულ შაურად.

ქალაქის გამგენი, ანუ ვისიც რიგია, ყურებსაც არ იბერტყვენ ამ საქმეზე. და ამ უყურადღეობაში მცირე ჯამაგირის მექონენი და ღარიბი ხალხი იტანჯება და ხდილობს ყველაფერში ორეულ და სამეულს ფასს.

რა ძნელია შეტყობინება და გაცნობა ხალხის ამისთანა გაჭირებისა მდიდარ, თბილ და მყუდრო ოთახში მდიდარ ქალაქის მზრუნველთან. სანამ კაცი არ გაბედავს და ხელში მოკეცილი ქაღალდით ცხვირში არ ჩაჰკრავს, ვერ დაანახებს ადვილათ ამისთანა ხალხის მოთხოვნილებას. „მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო“—ნათქვამია. ამ დალოცვილის შვილებს, როგორც თვითონ არიან მაძღრები და ჭიპ-გაჭიმულები, სხვებიც ისე ჰგონიათ. აქაურს გოროდნიჩს (ქალაქის გამგეს), რომ შეუთვალო, ან პირად უთხრა: „მოწყალე ხელემწიფეე, ამა და ამ საგანს ყურადღება უნდა მიაქციოთ,—მაშინ ის გიპასუხებსთ: „უფალო, თქვენ უფლება არა გაქვთ, რომ მე მითხრათ—„მოწყალე ხელემწიფე“, რადგან მე, როგორც მიყურებთ, უფროსი ვარ—და თქვენი უმთავრესი საგანი გაიპარება უკანა პლანზე. . . .

მგონია, დროა მიაქციონ ამაზე ყურადღება და შეუმსუბუქონ ღარიბ ხალხს ბედი. . .

ს. ბავრელი

თელავი, 11 სექტემბერს. ღუბერნატორი მოვიდა თელავში. ამბობენ, ეითომც თ. ს. ე—მ უთხრა სადილზე „для буйволъ, для быкъ, карова, лошадь есть ветенэръ, а для людъ нѣту! Умираемъ, князь, нѣть докторъ, пожалуста помоги!“ ტ. ბ. სთხოვა (ესეც სადილზედ)—„пожалуста такъ не сдѣлай, какъ N.; сказаль, сдѣлю дорогу на Гомборъ, сдѣлю, и не сдѣлилъ!... ერთმა კნეინამ ჰკითხა: „ბევრთ მიმდევარი ქალი თვალდა-თვალ გამიუპატიურა ერთმა მოქალაქემ და პოლიციამ ამ საქმეს ჩაილულის წყალი დაალევინაო...

თითქმის აქაური ადმინისტრაციის ბოროტმოქმედება მილიციის აკრეფის დროისა კუდსა ჰყოფდა, თუ მომავალი ზამთრისა არ შეჰშინებოდა და ისევე არ დეემალა....

წავიდა გუბერნატორი და მოდის ეგზარხი. აი, სადაც ორი მღვდელია, ერთი უეჭველად მეორეს ემუქრება: „მოვა ეგზარხი და მე შენ მოგიხარშამ ლოდ საჭამანდსაო!“ პრიხოდის მღვდელი დიაჩოქს, დიაჩოქი გლეხს და სუყველანი სუყველას. ქვემო მხრელებს ქვეით ეჩვენება, ზემო მხრელებს ზევით, მაგრამ ჯერ-კი არსადა სჩანს. უთუოდ გულში რაღაც ხინჯი აქვთ, თორემ ასე რა ათრთოლებთ და რად ეჩვენებათ? ვნახოთ რა გამოვა, მოუცადოთ მოსვლას.

სწავლა დაიწყო აქაურ სასწავლებლებში, გარდა წმინდა ნინოს სასწავლებლისა. ამბობენ, რო ოცამდინ არ იქნება აქ სწავლაო. მაშ უთუოდ მადამ ნაჩალნიცა დალალული ბძანდება, რადგანაც ქალაქიდგან მობრძანდა; ეტყობა ოცი დღე შესასვენებლად გადუდვია, როგორც თავისთვის, ისე მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის...

ღმერთო, რამდენი მომდურავი ჰყავს ამ პატარა „დროებას“! ნეტა გენახათ თუ როგორის გულის ამოსკვნილ დასტიროდა თავის ბედს ერთი ლესნიჩისგანი ამ „დროების“ წყალობით. რამდენადაც იმას კაი ადგილის შოვნას ულოცავდენ, ის ყოველთვის ამას ამობდა: „რა გინდა ჰქნა, ფეხი კი ვეღარსაით გაგიდგამს ამ „დროების“ და მის მეზვერეების წყალობით—და!“

ქართული ანდაზა „უძაღლო ნახა სოფელი, უჯოხო გაიარაო“ სწორედ ამათზეა ნათქვამი. ამბობენ, თელავის ლესნიჩი ხამია,არა იცის—რაო. რომელია ხამი, ერთი მე ვარ ჩინეთის ხელმწიფე და მეორე ის ყმაწვილია ხამი და გამოუცდელი. შორს ნუ წავალთ დასამტკიცებლად. ამ ცოტას ხანში ერთ მეველეს მოუვიდა თავის აბეშჩიკთან ჩხუბი (უეჭველია, ნაქურდლის გაყოფაზე); აბეშიკმა ლესნიჩს გადასცა ეს საქმე თავის კომენტარიებით. ლესნიჩმა ციხეში ჩასო მეველე; გაბრაზებულმა მეველემ აიღო კალამი და სულ ანუსხა, რაც კი აბეშჩიკს ოინბაზობა გეეწია. ეს რო ნახა ლესნიჩმა, ჯერ უთხრა: „შეგიძლიან დამტკიცება ან ხელის-მოწერა საციმბიროდ, თუ გამტყუნდაო?“ მაგრამ როცა მეველემ უთხრა: წამობძანდით და

სუყველას თქვენის თვალით გაჩვენებთო, მაშინ კი გამოუშო და კიდეც შეარიგა.

ლამის ვისაც ბლავანი გადურჩა ჭირსა, ისიც შიმშილით დაეხოცოთ. რაღაც კანონი გამოუგონია ამ „ხამ ლესნიჩს“, რომლის წყალობითაც აეკრძალებინ ხალხს გზის გარეთ გაშვება საქონლისა. ეს არაფერი, რო საქონელი შიმშილით უწყდებათ,—ხალხსა სცემენ იმისი ქვეშეერდომნი, ეს არის სამწუხარო. ეარგი იქნებოდა, რო „პიროუტყვების დამცველ საზოგადოების“ მაგიერ, „ხალხის - დამცველი საზოგადოება“ შემდგარიყო; თორემ აიკლეს აბეშჩიკებმა და მამასახლისებმაც სოფლები; დღე არ გავა, რო არავისა სცემონ. რო ველარა გაუწყვიათრა ადვოკატებს იჭერენ (აქ ხომ იცით, ყველა გაცეეთილი და გასალახანავებული კაცი ადვოკატობს), ეგები როგორმე ამ ცეცხლს აეშორდეო. . .

ვინც უნდა ვიყო

უცხო ქვეყნები

ინგლისი

გაზეთს „ბოლოსში“ დაბეჭდილია ლონდონიდამ 13 ენკენისთვეს მიღებული დეპეშა, რომელიც ამბობს, რომ ინგლისსა და ავგანისტანს შუა შეტაკება უეჭველად მოხდაო. ამასთანავე აქ ამბობენო, რომ შესაძლებელიაო რუსეთსა და ინგლისსაც აუტყდეს ერთმანეთში ომიო.

—ვენიდამ იწერებიან ამავე საგნის შესახებ, რომ შეიძლება ახლა ისე მოათავსონ საქმე, რომ ინგლისსა და რუსეთს შუა ამ მოკლე ხანში არ მოხდეს შეტაკება; მაგრამ, უეჭველია, რომ ინგლისი ეძებს ომის ატეხის მიზეზს და ამ მიზეზს მალე და ადვილათაც მონახავს.

—ლონდონის გაზეთში „ტაიმსში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„მარკიზ სალისბერამ მიმართა რუსეთის მთავრობას ნოტით, რომელშიაც თხოულობს, აუხსნან—თუ რა მიზანი ჰქონდა რუსეთის ელჩს, რომელიც ავგანისტანში იყო გაგზავნილი. ამას გარდა სალისბერი თხოულობს, რომ რუსეთმა შეატყობინოს—თუ რა განზრახვით უახლოვდება ის ავგანისტანს.“

—მითქმის ყველა ინგლისის გაზეთებში გაცხარებული სტატიებია დაბეჭდილი ავგანისტანთან შეტაკების თაობაზე და ყველანი ერთხმად თხოულობენ, რომ ამ შეურაცხყოფისათვის დაუსჯელად არ უნდა დარჩეს ავგანისტანის ემირიო.

ავსტრია

„პოლიტიკურს ქორრესპონდენციაში“ იწერებიან, ავსტრიას გადაწყვეტილი აქვსო, რომ ოსმალეთთან კონვენცია შეკრასო იმ პირობით, რომ ოსმალეთმა ნოვო-ბაზარის სანჯაყი დაუთმოსო. და თუ ხონთქარი ამაზე არ დათანხმდა, მაშინ ავსტრიას გადაწყვეტილი აქვსო, რომ ოსმალეთს ომი გამოუცხადოს და იმწამსვე ხსენებული სანჯაყისაკენ გაგზავნოს თავის ჯარებიო.

—მომეტებული ნაწილი ერცოგოვინისა, როგორც ვენის გაზეთებში იწერებიან, ავსტრიის ჯარებს უკვე დაუმშვიდებიათ, აჯანყებულები თითქმის ყველგან დაუმარცხებიათ და ხალხი მიდის ავსტრიის ჯარების უფროსებთან და მორჩილებას აცხადებსო.

ოსმალეთი

ერთს პარიჟის გაზეთში დაბეჭდილია, რომ, როცა მითხად-ფაშა პარიჟიდამ მიდიოდა, საფრანგეთის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრთან ვადინგტონთან იყო და დიდ ხანს ელაპარაკა იმას სხვა-დასხვა საპოლიტიკო საქმეებზედაო.

— ტრაპიზონელი კორრესპონდენტი ინგლისური გაზეთის „დაილი ნეუსისა“ იწერება, რომ, სანამ ოსმალოს ჯარები ბათუმს მიატოვებდნენ, დერვიშ - ფაშას ბრძანება მოუვიდა სტამბოლიდამაო, რომ თორმეტი ლამაზი ახალგაზდა ქართველის და ჩერქეზის ქალები იყიდე მანდ სახელმწიფო ხარჯით ხონთქრისათვისაო და ჩამოიყვანე სტამბოლშიო.

ქორრესპონდენტი ამბობს, რომ ამ მიზეზით იყოვო, რომ ბოლეთისა და ბათუმის მაზრაში დერვიშ-ფაშის საურები (ცხენოსანი ჯარი) დაიარებოდა და საცა ლამაზ ქალს ნახავდნენ, იტაცებდნენ და თან მიჰყავდათო.

წერილი რედაქტორთან

ბოხოვთ თქვენს პატივცემულს გაზეთში გამოაცხადოთ ქვემო-მოყვანილი გარემოება; იქნება, ვისიც რიგია, ყურადღება მიაქციონ და რიგიანი განკარგულება მოახდინონ.

ამ თვეში ბათუმიდამ გამოგზავნე ჭუთაისში ორი დეპეშა; თითოეულს დეპეშაში, ოცს სიტყვაში გამომართვეს ორმოც-და-ათი კაპეიკი.

დღეს კი სამტრედიიდამ გაეგზავნე ბათუმში დეპეშა, 30 სიტყვა იყო და გამომართვეს მანეთი და ორმოც-და-ათი კაპეიკი.

უფ. დეპეშის მიმღებს ტელეგრაფისტს უთხარი, რომ ბათუმიდამ ოცს სიტყვაში ათი შაური გადაეიხადე და აქედამ მანეთს რად მახდეევინებთ-მეთქი?

ამაზე იმან მიჩვენა დავთარი, რომ სხვისთვისაც ოცს სიტყვაში მანეთი გამოუთმეია.

აქედამ ცხადათ სჩანს, რომ ამ ორ სტანციაზე ან ერთი და ან მეორე ტელეგრაფისტი უნდა ეშმაკობდეს, ანუ შემცდარი უნდა იყვეს.

ამის გამო კარგი იქნება, რომ გაზეთში გამოცხადებით შევიტყობდეთ ნამდვილ მიზეზს—თუ რისგან არის, რომ ბათუმიდამ იმერეთში დეპეშის გამოგზავნა ათ შაურად ღირს და იმერეთიდამ ბათუმში კი მანეთად?

ა. ფ—ვი

სამტრედია, 18 ენკენისთვეს.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ოდესსა, 19 სექტემბერს. დღეს, ადმირალის არკასის თანდასწრებით, აკურთხეს აქ კრეისერი (მსწრაფლ - მავალი ხომალდი) სახელად „ნიჟნი - ნოვგოროდი“.

ვენა, 17 სექტემბერს. დღეს, გაცხარებული სროლის შემდეგ, ავსტრიის ჯარმა აიღო ძლობუკი, რომელიც იყო უკანასკნელი სიმაგრე აჯანყებული ჰერცოგოვინელებისა; დიდ - ძალი სამხედრო მასალები ჩაუვარდათ ავსტრიელებსა ხელში; იმათ დაანგრიეს იმწამსვე ეს სიმაგრე.

პარიჟი, 19 სექტემბერს. ინგლისის დანდობილ პირმა რუსის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრს წარუდგინა პეტერბურღში შემდეგი ნოტა: რისთვის გაგზავნა რუსის მმართებლობამან ღენ. სტოლეტოვი ავგანისტანში ელჩად, როდესაც რუსეთმა გამოაცხადა, რომ ავგანისტანში გავლენის შეძენას არ ეეცდებიო.

რუსის მთავრობამ უპასუხა: ღენ. სტოლეტოვის გაგზავნა სულ სხვა გარემოების დროს იყო გადაწყვეტილი და მხოლოთ ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ემირისთვის პატივი გვეცაო.

პეტერბურღი, 21 სექტემბერს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია; ხელმწიფემ მისცა უფლება პოლიციისა და ქანდარმის ჩინოვნიკებს, რომ ყოველთვის შეეძლოსთ შესვლა ყველა ფაბრიკებში და ქარხანებში და გაჩხრიკონ; მხოლოთ ამ დროს ქარხნის პატრონი ანუ გამგე უნდა დაესწროს.

პეტერბურღის ბირჟა, 19 სექტემბერს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	96—	75

მეორესი	— — — —	96—50
მესამესი	— — — —	95—75
მეოთხესი	— — — —	95—75
აღმოსაელეთის	— —	92—50
ოქროო, ½ იმპერიალი	—	8—14

თფილ. თავად-აზნ. ბანკის

გირაოს ფურცელი	— —	„— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

		მან.	კაპ.
პირველი სესხის	— —	231	50
მეორე სესხის	— —	227	50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	—	24	8	პენსი
ამსტერდამი	—	123	24	ცენტი
ბერლინი	— —	205	50	ფენიგი
პარიკი	— —	251	„	სანტიმი

ბიბლიოგრაფიული ცნობა

დაიბეჭდა და ისყიდება **„პატარა ბიბლიოთეკა“**, წიგნი პირველი, რომელიც შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა, ი. ბოგებაშვილის რედაქციით.

ფასი ოქრი შაური, მაგრამ ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპეიკათა სახალხო შკოლებს, როცა ერთათ იყიდიან ოც-და-ათ ეგზემპლიარსა ნაღდ ფულზედ და კერძო პირებს ასს ეგზემპლიარს თუ ერთათ წაიღებენ.

წიგნი ისყიდება გამომცემლის სოლომონ ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

(10—8)

განცხადებანი

ბეჭდვიდგან გამოვიდა და ისყიდება

მეექვსე კარი „ყარამანიანისა“

ქ. თფილისში, მიხაილოვის ხიდზე, მირზოევის შენობაში, მხოლოდ ს. არტ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ფასი 40 კოპ.

მსურველს შეუძლიან მიიღოს ამ წიგნის მაღაზიაში I, II, III, IV და V კარი „ყარამანიანისა“.

იბეჭდება და მომავალ თვეში გამოვა მეშვიდე კარი „ყარამანიანისა“.

(3—1)

იქავ ისყიდება იმისივე

„იგავ-არაკნი“

ბამოკრებილნი საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუეშიდამ“ და გალექსილი თ. რაფ. ერისთვისაგან.

ფასი ოქრი შაური.

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ბიბლ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში—და თელავს სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან ახალი წიგნი.

ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძესი, ივანე ქერესელიძესი, იოსებ ბაქრაძესი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისა

ფასი ოქრი შაური.

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რრეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში, ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

16-ს აგვისტოდამ გაიხსნა ქ. ქუთაისში

„წიგნის მაღაზია“

სადაც ისყიდება ყოველ-გვარი სახელმძღვანელო წიგნი (учебники), რუსულსა და ქართულს ენაზე. გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა „მაღაზიაში“ ისყიდება სხვა ყოველ-გვარი საკითხავი წიგნებიც, აგრეთვე რუსულსა და ქართულს ენაზე.

ამავე მაღაზიაში იმყოფება ქუთაისს განყოფილება კავკაზიის სამასწავლებლო უწყების კომმისსიონერის უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიისა.

მაღაზია იმყოფება: მიხაილოვის ქუჩაზე, უ. ხარაზოვის სახლებში, ტლუბის ქვემოთ.

ისყიდება პარტიითა და თითოს ცალითაც **თამბაქო**, მახორკა, ნაკლებ ფასათ.

ადრესი: ბალერეი არწრუნისა, № 146.

ივანე ალხაზოვი.

რკ. გზა.	ადილ.		სალ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი	9	21	5	18				
მცხეთა	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური	1	29	11	57	3	92	2	18
ხურამი	1	44			4	42	2	46
უვირილა	5	49			5	81	3	23
რიონი	6	57			6	75	3	75
სამტრედია	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი	9	50			9	75	5	42
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია	11	5			2	6	1	14
რიონი	12	13			3	4	1	69
უვირილა	1	18			3	98	2	21
ხურამი	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა	8	50	6	59	9	8	5	4
თფილ.	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან.	კაპ.
ოცი ხიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურს, ვარშავას	2	—
ევროპეაში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქალაქს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		
ლია წიგნის	4	—
დაბეჭდილის (ნაბი ბისალი)	8	

ბაზანდა

	მან.	კაპ.
თფილისი, 21 სექტემბ.		
ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფთ.	1	70
ფქვილი წითელი	1	50
ქერი ფუთი	1	25
ბამბა ერეკნისა, ფუთი	7	20
—ამერიკისა, ფუთი	7	60
ბაპენტილი ბამბა ფუთი	10	—
მატყლი თუშური ფუთი	8	50
—თარაქამისა ფუთი	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი	6	50
ქონის სანთელი ფუთი	8	40
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროცა ფუთი	7	40
—ფხვნილი ფუთი	6	20
ყავა გრგვალი, გირვ.	—	70
ნეთი ქუნაჯუთისა ფუთი	14	—
თამბაქო, ხაშულო ფთ.	7	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველსა დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ოკრშაბათს: ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათ., ძიუნერიანც—საგარო ექიმი და საშეიერლოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ძიუნერიანც—სიფილიტიკური და ნაშარდ ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 21 Сентября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი